აბაშის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის

ოქმი

15 აგვისტო 2023 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: მერი გიგა გაბელაია, მერის პირველი მოადგილე ირაკლი პერტენავა, მერის მოადგილე გიგლა ჯვარელია, აბაშის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებელი სამუშაოს ჯგუფის წევრები.

დღის წესრიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის სამუშაო ჯგუფისთვის წარდგენა, რომელიც შედგენილ იქნა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.
2. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით, საბიუჯეტო ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობების განსაზღვრა.

მომხსენებელი: აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თეიმურაზ ნოდია

სამუშაო ჯგუფმა მოისმინა აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის თეიმურაზ ნოდიას მოხსენება დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით. მან სამუშაო ჯგუფს მოკლედ წარუდგინა ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის შესახებ, რომელიც დაიგეგმა მხოლოდ საკუთარი შემოსავლების გათვალისწინებით (სპეციალური და კაპიტალური ტრანსფერების გარეშე) და 15 ივლისისთვის ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების და მაკროეკონომიკური პარამეტრების გათვალისწინებით.

2024-2027 წლების დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებზე რესურსი გადანაწილდა შემდეგნაირად:

- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 5 113.1 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურის განვითარება - 1 781.4 ათასი ლარი;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა - 362.8 ათასი ლარი;
- განათლება - 1 663.4 ათასი ლარი;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 1 289.5 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 949.3 ათასი ლარი,

მანვე აღნიშნა , რომ მიმდინარე წლის არაუგვიანეს 5 ოქტომბერისა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წერილობით გვაცნობებს ინფორმაციას 2024 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს, რომლის საფუძველზე დაზუსტდება პრიორიტეტების მოცულობა.

მომხსენებელმა სამუშაო ჯგუფს გააცნო მომავალ წლებში პრიორიტეტული სფერო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა. ასევე, პრიორიტეტს სოციალური სფერო წარმოადგენს. მიზანშეწონილად თვლიან ახალი გამწვანების ზონები შექმნას, ეზოების კეთილმოწყობას.

აზრი გამოთქვეს: აბაშის მუნიციპალიტეტის მერმა გიგა გაბელაიამ, მერის პირველმა მოადგილე ირაკლი პერტენავამ, მოადგილემ გიგლა ჯვარელიამ და ჯგუფის წევრებმა ქალაქში განსახორიელებელ პროგრამებთან დაკავშირებით. გამოიკვეთა ის პრიორიტეტული სფეროები, რომლებშიც ადგილობრივმა თვითმმართველობამ მომავალში უნდა გააუმჯობესოს მიწოდება.

სხდომა შეაჯამა: აბაშის მუნიციპალიტეტის მერმა გიგა გაბელაიამ, რომელმაც კონკრეტული მოსაზრება გააცნო სამუშაო ჯგუფს მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის კუთხით განსახორიელებელი სამუშაოების, ჩასატარებელი ახალგაზრდულ, სპორტული და კულტურული ღონისძიებების და განსახორციელებელი სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების შესახებ.

აბაშის მუნიციპალიტეტის მერის, მერის მოადგილეების სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნების, წინადადებების, მოსაზრებების გათვალისწინებით.

დაადგინეს: მოწონებულ იქნას აბაშის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი დოკუმენტი.

აბაშის მუნიციპალიტეტის მერის შენიშვნებისა და შეფასების საფუძველზე, სამუშაო ჯგუფის წევრებზე გაიცა შემდეგი დავალებები.

1. 2023 წლის 1 ნოემბრამდე აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინასო-საბიუჯეტო სამსახურმა, წარმოადგინოს აბაშის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი, პრიორიტეტების დოკუმენტთან ერთად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 2023 წლის 5 ოქტომბერს მიღებული საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით.

2. სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოფს აბაშის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებელი საბიუჯეტო კალენდრით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების ვადების დაცვა.
3. სამუშაო ჯგუფის მომდევნო შეკრება დაიგეგმოს 2023 წლის 1 ნოემბერს.

აბაშის მუნიციპალიტეტის მერი: გიგა გაბელაია